

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 18

ქ.ვანი თავისუფლების N65

27 დეკემბერი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, გია ბარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, მერაბ ხურციძე, თამთა დვალიშვილი, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს: /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: /ივანე მამფორია/

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და განმარტა, რომ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა მცირდება 143.0 ათასი ლარით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში განხორციელებული ცვლილების გამო (N2407, 18.12.2018 განკარგულება), რის შედეგადაც გამოყოფილი თანხების მოცულობა შემცირდა ტენდერის შედეგად წარმოშობილი ეკონომიით, სახელშეკრულებო ღირებულებამდე. შესაბამისად, შემოსულობების ნაწილში გრანტების მუხლი, ხოლო გადასახდელების ნაწილში გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა მცირდება 143,0 ათასი ლარით.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი 2/

დაადგინეს;

შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლისთვის, ისევე როგორც 2017-2018 წლებში, შემუშავდა 2019 – 2022 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების

ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

▣ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

▣ სკოლამდელი განათლება;

▣ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;

▣ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა,

▣ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

კომისიის წევრებმა განიხილეს და მოიწონეს 2019 წლის ბიუჯეტი.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი 3/

დაადგინეს;

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე